

აფრიკატები აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში

ასლანოვი ელვირა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.24>

აბსტრაქტი. აზერბაიჯანული ენის ფონეტიკური სისტემა, განსაკუთრებით მისი დიალექტური დონე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენობრივი მრავალფეროვნების და ენის განვითარების კვლევაში. სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში აფრიკატული თანხმოვნების რაოდენობა შეზღუდულია და მოიცავს ორ ტიპს — [č] (ყრუ) და [č̣] (მჟღერი), რომლებიც აქტიურად გამოიყენება მეტყველების ყველა პოზიციასა და მორფოლოგიურ ფორმებში. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში კი ფიქსირდება დამატებით ორი აფრიკატი — [c] და [c̣], რომლებიც სალიტერატურო ენაში არ გვხვდება და მხოლოდ დიალექტურ მეტყველებაში გამოიყენება. აღნიშნული აფრიკატები სხვადასხვა სიტყვების პოზიციებსა და სუფიქსებში გვხვდება, რაც მათ მნიშვნელოვან ფუნქციურ როლს უსვამს ხაზს დიალექტურ დონეზე.

მკვლევრების აზრით, მათი წარმოშობა დაკავშირებულია ისტორიულ-ენოვან ზემოქმედებებთან, კერძოდ, ხაზარების, ყივჩაღების, მონღოლებისა და კავკასიურ ენებთან ურთიერთობების გამო. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ასევე ფიქსირდება აფრიკატების ჯაჭვური ტრანსფორმაციები, სადაც შიშინა აფრიკატები [č] და [č̣] გადაიქცევიან სისინა ვარიანტებად [c] და [c̣].

ამ ცვლილებებმა წარმოშვა მრავალრიცხოვანი რეგიონული ვარიანტები და პარალელური ფონემური სისტემები, რაც აჩვენებს აზერბაიჯანული ენის ფონეტიკისა და დიალექტოლოგიის მდიდარ და მრავალსაფეხუროვან ბუნებას. [c] და [c̣] აფრიკატები არ წარმოადგენს მხოლოდ დიალექტურ ფენომენს, არამედ ეთნოლინგვისტური და ისტორიული პროცესების მნიშვნელოვანი ანარეკლია, რომელიც აფართოებს ჩვენს ცოდნას აზერბაიჯანული ენის განვითარებისა და რეგიონული მრავალფეროვნების შესახებ.

საკვანძო სიტყვა: აფრიკატები, თანხმოვნები, აზერბაიჯანული ენა, დიალექტი, სისინა და შიშინა თანხმოვნები, ისტორიულ-ენოვანი ზემოქმედება, თურქული ენები

აზერბაიჯანული ენის ფონეტიკური სისტემა, განსაკუთრებით დიალექტური დონე, წარმოადგენს მრავალფეროვანი ენობრივი სტრუქტურის საინტერესო ასპექტს, რომელიც აერთიანებს როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე ფონოლოგიურ ელემენტებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენი ამ კონტექსტში არის აფრიკატული თანხმოვნების ფუნქციური ადგილი და მათი განსხვავებული რეალიზაცია სალიტერატურო ენასა და დიალექტურ თქმებში.

თანხმოვანთა სისტემის კვლევა აზერბაიჯანულ ენაში მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ფონეტიკური, ასევე დიალექტოლოგიური თვალსაზრისით. ცნობილია, რომ სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში აფრიკატული თანხმოვნების რაოდენობა შეზღუდულია და ძირითადად მოიცავს ორ ძირითად ფონემას — [č] და [č̣], თანხმოვნებს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება მეტყველების ყველა პოზიციასა. მიუხედავად ამისა, დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში, ემპირიულ მასალაზე

დაყრდნობით ვაწყდებით დამატებით ორი აფრიკატის არსებობას: [ʒ] და [c], რაც მიუთითებს ფონეტიკურ სისტემაში დიალექტურ გაფართოებასა და ენის შიდა დინამიკაზე. მათი ფორმა, წარმოშობა, ფუნქციური გამოყენება და გავრცელების არეალი ცხადყოფს ენობრივი პროცესების სირთულეს და მრავალწახნიანობას აზერბაიჯანულის დიალექტურ დონეზე. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტის ზოგ თქმაში გვხვდება 4 აფრიკატი, ესენია: [ʒ], [č], [ʒ], [c]. როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისათვის უცხო გვაქვს ორი აფრიკატი თანხმოვანი - [ʒ], [c]. დავახასიათოთ ესენი ცალკე-ცალკე.

აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში აფრიკატულ თანხმოვნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ფონემურ წყვილს [č] და [ʒ], რომლებიც ერთმანეთის არტიკულაციურ ანალოგებს წარმოადგენენ - [č] არის ალვეოპალატური ყრუ, ხოლო [ʒ] — მჟღერი აფრიკატი. [č] ფონემა არტიკულაციურად შედგება შემართავი [t]-ისა და დამართავი [ʃ] ბგერებისგან, შესაბამისად: [č] = [t]+[ʃ] ან [tʃ]. ეს ფონემა ფუნქციურად აქტიურია და გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში, მაგალითად: *čagğal* („ტურა“), *čala* („ორმო“), *kečid* („გასავლელი“), *keči* („თხა“), *seč* („აირჩიე“) და სხვა. [č] აქტიურად გამოიყენება აგრეთვე მორფოლოგიურ დონეზეც — სხვადასხვა აფიქსებში, როგორებიცაა: -čü, -či, -ču, -čü, -ča და სხვ. ეს მიუთითებს მის როგორც ლექსიკურ, ასევე სიტყვისწარმოებით ფუნქციურ დატვირთვაზე აზერბაიჯანულ ენაში.

[ʒ] წარმოადგენს ალვეოპალატალურ, მჟღერ აფრიკატს, რომელიც არტიკულაციურად შედგება შემართავი [d]-ისა და დამართავი [ʒ]-ისა და თანხმოვნებისაგან, შესაბამისად: [ʒ] = [d]+[ʒ] ან [dʒ]. აღნიშნული ფონემა აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში, რაც მიუთითებს მის სტაბილურობასა და ფუნქციურ მრავალფეროვნებაზე, მაგ.: *ʒan* („სული“), *ʒejran* („ჯეირანი“), *ʒüçü* („მწერი“), *balaz̧a* („პატარა“), *kärp̧ž* („აგური“), *xariž* („უცხო“). გარდა ფუძეებისა, იგი აქტიურად იხმარება აგრეთვე სხვადასხვა აფიქსებში: -ʒa, -ʒü/-ʒi/-ʒu/-ʒü, -aʒag და ა. შ. რაც ხაზს უსვამს მის მორფოლოგიურ პროდუქტიულობასაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება ფონემა [c], რომელიც არტიკულაციურად წარმოადგენს წინაენისმიერ ყრუ აფრიკატს და შედგება შემართავი [t]-ისა და დამართავი [s] ბგერებისგან, შესაბამისად: [c] = [t]+[s] ან [tʰ]. „ყრუ [c] თანხმოვანი ჩვენი ენის ზოგ დიალექტში ფართოდ გვხვდება სიტყვის დასაწყისში, იშვიათად სიტყვის შუაში სალიტერატურო ენის ყრუ č თანხმოვნის ნაცვლად“ [Əzizov, 2016]. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში [c] ხშირად ჩნდება სალიტერატურო [č] ფონემის პოზიციაზე, ანუ [č] → [c], უმეტესად სიტყვის დასაწყისში, თუმცა ემპირიული მონაცემები ადასტურებს მის არსებობას სიტყვების შუა და ბოლო პოზიციაში, მათ შორის სუფიქსებშიც, მაგ.: *čaj* → *caj* („ჩაი“), *čox* → *cox* („ბევრი“), *čöräk* → *cöräx* („პური“), *čičäk* → *cicex* („ყვავილი“), *goč* → *goc* („ვერდი“), *gullug-ču* → *gullux-cu* („დამხმარე პერსონალი“).

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ სალიტერატურო თურქული ოჯახის ენაში ეს თანხმოვანი არ იხმარება, დიალექტებსა და თქმებში ფართოდ გამოიყენება ყველა პოზიციაში. როგორც წესი, [c] და [ʒ] ხშირ შემთხვევაში თანაარსებობენ და პარალელურად იხმარებიან, რაც მეტყველების რეგიონულ განსხვავებებსა და ენობრივ მრავალფეროვნებას აჩვენებს.

[ʒ] თანხმოვანი - წინანუნისმიერი, მჟღერი აფრიკატია. იგი შედგება შემართავი [d]-ისა და დამართავი - [z] ბგერებისგან, ანუ [ʒ]=[d]+[z], ან [ʒ]=[dʒ]. [ʒ] თანხმოვანი

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის გარდა, გვხვდება აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებში, კერძოდ: ნახიჭევანის, აირუმის, ორდუბადის, ისმაილის, ჯებრაილისა და ზანგიბასარის. ეს თანხმომავნი ყოველთვის იხმარება [č] ფონემის მაგივრად, ანუ [č] → [c]. გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში და სუფიქსებში, მაგ.: *čüzä* → *cüzä* („წიწილა“); *bač* → *baç* („და“); *g'ëžä* → *g'ëzä* („ღამე“); *čanavar* → *zanavar* („მგელი“); *čürä-čürä* → *zürä-zürä* („ნაირ-ნაირი“); *čüžarti* → *cüzarti* („ჯეჯილი“); *ayäč* → *ayaz* („ხე“); *g'änč* → *g'änz* („ახალგაზრდა“); *čavanča* → *zavanza* („ყმაწვილი“); *jaxča* → *jaxza* („კარგად“).

აღსანიშნავია, რომ [c] თანხმომავნი ასევე დამახასიათებელია ყარაჩაი-ბალყარული ენის ზემობალყარული თქმისთვის. ეს ამ ენის დამახასიათებელი თვისებაა და გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში, *čöün* → *coün* („თუჯი“); *ač* → *ac* („გააღე“); *üč* → *üc* („სამი“) (Материалы и исследования по балкарской диалектологии, лексике и фольклору, 1962). ნ.ზ. ჰაჯიევას აზრით, [c] თანხმომავნის ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს ყარაჩაი-ბალყარული ენის დიალექტების გავრცელების რეგიონი (Гаджиева, 1979).

ანალოგიური ტენდენციები ფიქსირდება თათრული ენის მიმართისა და ტიუმენის თქმებშიც, აქაც [č] → [c], მაგალითად: *čäjnək* („ჩაიდანი“), *köcek* („პატარა“), *cumatan* („ჩემოდანი“) (Əzizov, 1980).

[c] თანხმომავნი დაფიქსირებულია აგრეთვე თურქეთის რეგიონებში, კერძოდ, ტრაპიზონისა და რიზეს პროვინციებში, მაგ., *ičindä* → *cindä* („შინი“); *čicäk* → *cicäk* („ყვავილი“) (Philologiae Turcicae Fundamenta, 1959).

ჩუღიმ-თათრების მეტყველებაში თანაბრად გვხვდება როგორც [c], ისევე [č] თანხმომავნი, რაც ხაზგასმით მიუთითებს მათ პარალელურ არსებობაზე ამ დიალექტში: *ayac* („ხე“), *küc* („ძალა“), *pčzak//puzak* („დანა“) (Баскаков, 1960). ს.ი. მალოვის დაკვირვებით, ჩუღუმური დიალექტის სოციოლინგვისტური თავისებურება ის არის, რომ ქალთა მეტყველებაში უფრო მეტად გამოიყენება [c], მაშინ როდესაც მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ [č] ფონემას (Тенишев, 1980). აღნიშნული განსხვავება შეიძლება განვიხილოთ როგორც გენდერული ნიშნით განპირობებული ვარიაციული მახასიათებელი, რაც მეტყველების სოციოლინგვისტურ მორფოლოგიაზეც მიუთითებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, [c] თანხმომავნი ვლინდება თურქულენოვანი ოჯახის სხვა ენებშიც. კერძოდ, იგი დაფიქსირებულია ყარაიმული ენის სამხრეთული დიალექტის ლექსიკაში, აგრეთვე ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის მთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთ თქმაში. ამ დიალექტებში [c] შენარჩუნებულია მხოლოდ მცირე რაოდენობის ლექსიკურ ერთეულებში (Əzizov, 2016).

აზერბაიჯანული ენის ორდუბადისა და შაჰზუხის დიალექტებში [c] თანხმომავნის არსებობას თავდაპირველად მ. შირალიევი იბერიულ-კავკასიური ენების გავლენით ხსნიდა (Şirəliyev, 1957). თუმცა, შემდგომ მან შეცვალა თავისი მოსაზრება და დაასკვნა, რომ აღნიშნული ფონემის არსებობა შესაძლოა აიხსნას ყივჩაღური ელემენტის ზეგავლენით აზერბაიჯანულზე (Ширалиев, 1965). მკვლევართა ნაწილი, თანამედროვე მონღოლური ენის მონაცემებზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ თურქულ ენებში (მათ შორის აზერბაიჯანულიც) [c] თანხმომავნის არსებობა დაკავშირებულია სწორედ მონღოლური ენის გავლენასთან (Велиев, Гаджиев, 1966). აღნიშნული ჰიპოთეზა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ძველ მონღოლურში გამოყენებული [č] თანხმომავნი დროთა განმავლობაში შეიცვალა [c] ფონემით (Гаджиева, 1979); (Серебренников, Харькова, 1983), რაც სავარაუდოდ გარკვეული ზეგავლენის შედეგად

აისახა თურქულენოვან დიალექტებზეც.

არსებობს განსხვავებული შეხედულებები [ც] თანხმოვნის წარმოშობის შესახებ. ა. ჰუსეინოვას შეფასებით, ეს ფონემა არ წარმოადგენს ნასესხებს, არამედ უნდა განიხილებოდეს როგორც [ჩ] ფონემის ვარიანტი (Hüseynov, 1958). ნ.ზ. ჰაჯიევა მიიჩნევს, რომ კავკასიის რეგიონში [ც] და [ვ] თანხმოვნების ფართო გავრცელება შეიძლება განპირობებული იყოს გეოგრაფიული მდებარეობით, ვინაიდან აღნიშნული ფონემები ფართოდ იხმარება იბერიულ-კავკასიურ, ოსურ და სხვა რეგიონულ ენებში (Гаджиева, 1979). თავის მხრივ, თ.მ. გარიპოვი ვარაუდობს, რომ თურქულ ენებში [ც] ფონემის არსებობა შესაძლოა ირანული ენების ზეგავლენის შედეგად იყოს (Гарипов, 1979).

ზემოთ განხილული სხვადასხვა თვალსაზრისიდან ჩანს, რომ [ც] ფონემის წარმოშობა თურქულ ენებში, მათ შორის აზერბაიჯანულში, საკმაოდ სადავო საკითხია. რიგი მკვლევრები, მათ შორის მ. რიასენინი, ნ. პოპე, კ. მენგესი და ა.მ. შერბაკი, ამტკიცებენ, რომ [ც] თანხმოვანი დროთა განმავლობაში განვითარდა პროთურქულიდან [ჩ] ფონემის საფუძველზე. საპირისპირო მოსაზრებას გამოხატავს შ.კ. აკბაიევი, რომლის აზრით, სწორედ რთული [ც] არქეტიპი უნდა ჩაითვალოს თავდაპირველ ფორმად, რომლისგანაც მოგვიანებით წარმოიშვა შედარებით მარტივი არტიკულაციის მქონე [ჩ] (Акбаев, 1971).

ამ საკითხზე ჩვენ ვიზიარებთ ლ.პ. მახმუტოვას შეხედულებას, რომლის მიხედვითაც [ც] და მასთან პარალელურად არსებული [ვ] აფრიკატები ისტორიულად თურქულენოვანი არელებისთვის იყო დამახასიათებელი, ხოლო მათი გავრცელება ცალკეულ რეგიონებში განპირობებული იყო სხვადასხვა ისტორიული ფაქტორით (Махмутова, 1978).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ [ც] აფრიკატი დამახასიათებელია საბირ-ხაზარების ენისთვისაც, რომელიც ერთ-ერთ თურქულ ენას წარმოადგენდა (Гукасян, 1978). ნ.ა. ბასკაკოვი აღნიშნავს, რომ ხაზარების ენაში სხვადასხვა დიალექტში [ჩ] თანხმოვნის პარალელურად ფუნქციონირებდა [ც] თანხმოვანიც (Баскаков, 1960), რაც კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას აღნიშნული ფონემის ისტორიულად ფართო გავრცელების შესახებ.

ცნობილია, რომ ხაზარებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აზერბაიჯანის ისტორიაში. ისინი თითქმის ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში მართავდნენ აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რამდენიმე პროვინციას. V–VI საუკუნეებში, სხვა დიალექტებთან ერთად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელდა ხაზარების ენა, რომელშიც ფიქსირდება [ც] თანხმოვნის არსებობა (Qukasyan, 1983). მ. ისმაილოვი ასევე აღნიშნავს, რომ დღევანდელ აზერბაიჯანში [ც] აფრიკატის გავრცელება შეიძლება განვიხილოთ როგორც ხაზარულენოვანი გავლენის შედეგი (Исламов, 1979). ამ გარემოებათა ერთობლიობა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე დიალექტებში არსებული [ც] ფონემა წარმოადგენს ხაზარების ენობრივი სისტემის არქაული ფენების გადმონაშთს.

[ც] და [ვ] თანხმოვნები, მიუხედავად იმისა, რომ არ შედიან აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ნორმებში, წარმოადგენენ დიალექტური ლექსიკური ფონდის არსებით ნაწილს და ასახავენ ენის განვითარების დინამიკასა და რეგიონულ მრავალფეროვნებას. ისტორიული წყაროებისა და თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, აღნიშნული ხმოვნების გავრცელება შესაძლებელია აიხსნას როგორც ხაზარული, ყივჩაღური ან მონღოლური ენობრივი ზემოქმედებით, ასევე ზოგადი კავკასიური ენობრივი კონტაქტებით. მათი პარალელური არსებობა და გამოყენება

მიუთითებს არა მხოლოდ ფონეტიკურ მრავალწახნაგაიანობაზე, არამედ ეთნოლინგვისტურ კავშირებზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აზერბაიჯანული ენის რთულ და მრავალშრიან ბუნებას.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში საყურადღებოა ფონემური ცვლილებები, რომლებიც აფრიკატების სისტემურ ტრანსფორმაციას უკავშირდება. კერძოდ, შიშინა აფრიკატ [ჭ]-ს ფუნქციას ამ დიალექტში ითვისებს სისინა აფრიკატი [ჟ], ხოლო შიშინა აფრიკატი [ც] გადადის სისინა ვარიანტში [ც]. აღნიშნული ცვლილება იწვევს ბგერათმონაცვლეობას შემდეგი სახით: [ჭ] → [ჟ], [ც] → [ც]. მაგალითისთვის: *baʃ* → *baʒ* („და“), *ʒüʒä* → *ʒüʒä* („წიწილა“).

ამ ცვლილებათა პარალელურად, აღნიშნული დიალექტის ფარგლებში დაფიქსირებულია ტენდენცია, რომლის მიხედვითაც შუაენისმიერი სპირანტების – [k] და [g], ფუნქციას ასრულებენ ალვეოპალატალური აფრიკატები - [ც] და [ჟ]. აღნიშნული ცვლილებები მიუთითებს აფრიკატიზაციის პროცესზე, რაც ენობრივად ჯაჭვისებური მოდელით შეიძლება განვაზოგადოთ:

- თუ [k] → [ც], მაშინ [ც] → [ც], მაგ., *kaɣ* → *ʒaɣ* („ქაღალდი“); *caj* → *caj* („ჩაი“);
- თუ [g] → [ჟ], მაშინ [ჟ] → [ჟ], მაგ., *gʷin* → *ʒʷin* („დღე“); *ʒüʒä* → *ʒüʒä* („ჯუჯა“).

ამრიგად, ბგერათმონაცვლეობა ყაზახურ დიალექტში შეიძლება ჩაითვალოს ჯაჭვისებური აფრიკატიზაციის პროცესად, რომელიც ასახავს დიალექტური ფონოლოგიის დინამიკას და სპეციფიკას.

ფონეტიკური კვლევები და დიალექტური მონაცემები ცხადყოფს, რომ აზერბაიჯანულ ენაში [ც] და [ჟ] ტიპის აფრიკატული თანხმოვნების არსებობა წარმოადგენს არა შემთხვევით მოვლენას, არამედ რთული და ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივი სისტემის ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხმოვნები არ ფიქსირდება სალიტერატურო ნორმაში, მათი აქტიური გამოყენება დასავლური დიალექტური არელების მეტყველებაში მიუთითებს ენაში მიმდინარე ბუნებრივ ცვლილებებსა და შიდა დინამიკაზე.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ [ც] და [ჟ] თანხმოვნები წარმოადგენენ არა მხოლოდ დიალექტური სისტემის ნაწილს, არამედ ისტორიული ენობრივი პროცესების ანარეკლს, რაც მეტყველებს აზერბაიჯანული ენის განვითარების მრავალსაუკუნოვან და მრავალშრიან ხასიათზე. მათი ანალიზი მნიშვნელოვნად შეესაბამება თანამედროვე დიალექტოლოგიის, ფონეტიკისა და ეთნოლინგვისტიკის ძირითად მიზნებს, რადგან ააშკარავებს ენობრივი მემკვიდრეობის შრეებს და კულტურათაშორისი ურთიერთობების კვალს ენაში.

ლიტერატურა:

1. Акбаев, Ш.Х. (1971). Сравнительно-исторический метод в тюркологии и генезис балкарского цоканья // Сов. тюркология, №2
2. Баскаков, Н.А (1960). Тюркские языки. Москва: Изд-во восточной литературы
3. Велиев, С.А. Гаджиев, Т.И. (1966). О двух диалектных фактах // Вопросы диалектологии тюркских языков. Т.IV. Баку: Изд-во АН Азерб. ССР
4. Гаджиева, Н.З. (1979). Тюркоязычные ареалы Кавказа. Москва: «Наука»
5. Гарипов, Т.М (1979). Кыпчакские языки Урало-Поволжья. Опыт синхронической и диахронической характеристики. Москва: Наука,
6. Гукасян, В.Л. (1978). Значение Закавказских источников в изучении истории азербайджанского языка дописьменного периода // Сов. тюркология, , №2, с.19-33
7. Исламов, М.И. (1979). Роль диалектных данных в изучении истории азербайджанского языка // Совещание по общим вопросам диалектологии и истории языка. Тез. докл. и сообщ. Москва.
8. Кабардино-Балкарский научно-исследовательский институт. (1962). *Материалы и исследования по балкарской диалектологии, лексике и фольклору: Тексты. Переводы. Комментарии. Словарь* (А. Ю. Бозиев,

- Ред.). Нальчик: Кабардино-Балкарское книжное издательство.
9. Махмутова, Л.П. (1978). Опыт исследования тюркских диалектов. Мишарский диалект татарского языка. Москва: Наука
10. Серебренников, Б.А. Харькова, С.С. (1983). О некоторых эффективных методах исследования проблемы родства тюркских и монгольских языков // Сов. тюркология., №5
11. Тенишев, Э.Р. (1980). Сергей Ефимович Малов (К столетию со дня рождения) // Сов. тюркология., №6
12. Ширалиев, М.Ш. (1965). Кыпчакские элементы в азербайджанском языке // Исследования по грамматике и лексике тюркских языков. Ташкент: Наука
12. Hüseynov A. (1958). *Azərbaycan dialektologiyası*. Bakı: API nəşriyyatı
13. Əzizov, E. (2016). *Azərbaycan dilinin tarixi dialektologiyası*. Bakı: Elm və Təhsil. s.77-78
14. Qukasyan V.L. (1983). *Azərbaycan dilinin təşəkkül tarixinə dair qeydlər*. Azərbaycan filologiyası məsələləri. Bakı: Elm
14. Deny, J., Grønbaek, K., Scheel, H., Togan, Z. V. (᠙᠑᠑᠙.). (1959). *Philologiae Turcicae Fundamenta. Tomus Primus*. Wiesbaden: Franz Steiner Verlag.

Affricates in the Kazakh Dialect of the Western Group of the Azerbaijani Language

Aslanovi Elvira

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

The phonetic system of the Azerbaijani language, particularly at the dialectal level, is important for studying linguistic diversity and language development. In Standard Azerbaijani, affricates are limited to two types — [č] (voiceless) and [ǰ] (voiced) — which are used in all speech positions and morphological forms. However, the Qazakh dialect of the Western group of Azerbaijani has two additional affricates: [c] and [ɟ]. These affricates do not appear in Standard Azerbaijani and are exclusively used in dialectal speech. They occur in various word positions and suffixes, emphasising their functional significance at the dialectal level.

Researchers suggest that the emergence of these sounds is associated with historical-linguistic influences, particularly contact with Khazars, Kipchaks, Mongols and Caucasian languages. The Qazakh dialect also exhibits chain transformations of affricates, whereby sibilant affricates [č] and [ǰ] shift to their non-sibilant counterparts [c] and [ɟ]. These changes have led to the formation of numerous regional variants and parallel phonemic systems, demonstrating the rich and multilayered nature of Azerbaijani phonetics and dialectology. Affricates such as [c] and [ɟ] are not just dialectal phenomena; they also reflect significant ethno-linguistic and historical processes, broadening our understanding of the development and regional diversity of the Azerbaijani language.

Keywords: *Affricates, Consonants, Azerbaijani language, Dialect, Sibilant and affricate consonants, Historical-linguistic influence, Turkic languages*